ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3323270

ნომერი: AR1509678

თარიღი : 30.05.2017

გაცემის თარიღი : 21.06.2017

გაცნობის თარიღი : 21.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხერგიანი , N 1 / ქალაქი თბილისი , გლდანის VI მ/რ, მ.ხერგიანის ქუჩა N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ იაგორაშვილი პ/ნ 01017001188
- თბილისი დ.ჭონქაძის ქ. N 19/9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის- სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის №1453 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 30 მაისს AR1509678 განცხადებით მომართა მოქალაქე ოთარ იაგორაშვილმა (მინდობილობა #170637350. რეგისტრაციის თარიღი: 09.06.2017) და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის №1453 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის და ფართობის ცვლილების მიზნით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხერგიანის ქ. #1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით #01.11.12.001.007)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით 2011 წლის 23 სექტემბერს დამტკიცდა №1453 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
დღევანდელი მდგომარეობით განხორციელებულია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის და ფართობის ცვლილება. ვინაიდან, არქიტექტურული პროექტი შეთანხმებულია ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია №1453 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ხსენებული ცვლილებების ასახვა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის- სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის №1453 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.11.12.001.023; ფართობი 2184 კვ.მ,; რეგისტრაციის ნომერი #882014701515, რეგისტრაციის თარიღი 26/12/2014 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882015160201, რეგისტრაციის თარიღი 25/03/2015წ.);
2. ქალაქ თბილისის მერიის- სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის №1453 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს დოკუმენტი: ფუნქციურ ზონებს შორის სქემატური ნახაზი (იხილეთ დანართი);
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის- სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის №1453 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.